სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.



კურსი 15 მარტი

1-ლ ენკენისთვიდან [illegible]

[illegible]

ჯავახიშვილის.

[illegible] (6—2)

## პანსიონი და სასწავლებელი
## ნ. დიდებულიძისა

**გადავიდა** ახალს სახლში, მიხეილის ქ. № 129, სადაც დებულობენ ყმაწვილებს მოსამზადებლად მეორე კლასამდინ და სრული ხარჯით პანსიონერებად. მორიგება შეიძლება პირათა და წერილით.
მოლაპარაკება შეიძლება დილით 10—2 საათ. და საღამოთი 5—7 საათ.




ღვინის სარდაფი

## „იყალთო"

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა

გოლოვინის პროსპექტი, თავ. კ. ორბელიანის სახ. № 15, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

## იყალთო

ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князя Г. и Л. Макаевыхъ
**подъ фирмой**
## „ИКАЛТО"
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. К. Орбеліани, № 15. (75—7)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის **D-r ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

21 ივლისი.

**ბერლინი.** ბერლინსა და მთლად გერმანიაში ყველა შეწუხებულია ბისმარკის გარდაცვალებით. ყველგან სამგლოვიარო დროშა არის გამოკიდებული, გაზეთებში აუარებელი წერილები იბეჭდება ბისმარკის შესახებ და გაზეთები მუდამ დღე სამგლოვიარო არშიით გამოდიან. ბისმარკის ანდერძისამებრ იმისი გვამი უნდა დასაფლავებულ იქმნას ფრიდრიხსრუეში და ამის გამო თავ. გერბერტ ბისმარკმა მადლობით უარ ჰყო წინადადება იმპერატორისა, რომ თავადის გვამი ბერლინის ტაძარში იქმნას დასაფლავებულიო.

**ბერლინი.** „Reichsanzeiger"-ში დასტამბულია დეპეშა იმპერატორისა თავ. გერბერტ სპენსერთან: „ვუერთებ რა მწუხარებას, რომლითაც აღვსილია თქვენი გული ძვირფასს და დიდის კაცის გარდაცვალებისა გამო, მე ვგლოვობ გერმანიის საუკეთესო ბედის დაკარგვას. რომელისაც ერთგულობამ და თანაგრძობამ სამშობლოს შეერთების საქმეში, განსვენებულის პაპაჩემია დიდის იმპერატორის მეგობრობა მოუპოვა სამუდამოდ და აგრეთვე მთლად გერმანიის ერის პატივისცემა დაიმსახურა სამუდამოდ. მისს ნეშტს დასაკრძალავად მე ადგილს ვუთმობ ბერლინის ტაძარში ჩემ წინაპართა გვერდით".

იმპერატორმა ბრძანა 10 დღის მგლოვიარება სასახლეში და 8 დღის სამხედრო მგლოვიარება. ყოველ მთავრობის დაწესებულებაზე გამოკიდებულია ბაირაღი და ნახევრად ჩამოშვებულია. ბაირაღები თავ. ბისმარკის დასაფლავებამდის ამ გვარად იქნება გამოკიდებული ქუჩებში.

**ვაშინგტონი.** ზავის პირობაში შესატანი ცვლილება რაც კამბონმა შესძლო და მოახერხა, ფილიპეს კუნძულთა მომავალს ბედ-იღბალს შეეხება.

**ჰამბურგი.** ფრიდრიხსრუედგან გვატყობინებენ, რომ თავ. ბისმარკის სახეს სიმშვიდის ბეჭედი აზის. მიცვალებულს ჰდარაჯობენ ტყის მოხელეები და საპატიო დარაჯნი, იმ ადგილას, რომელიც თვით თავ. ბისმარკმა აირჩია, დადგმულ იქმნება დიდი ძეგლი, სადაც შემდეგ დაასაფლავებენ კნეინა ბისმარკისასაც. თავის ხელით მოწერილს ანდერძის ქაღალდით თავ. აცხადებს, რომ მსურს საქსენგალდას ვიქმნე დასაფლავებული და ჩემის საფლავის ქვაზე მსურს, რომ მხოლოდ ეს ეწეროს; „თავადი ბისმარკი. დაიბადა 1 აპრილს 1815 წ. და გარდაიცვალა..." ამას უნდა მიემატოს: ერთგული გერმანელი მონა და მოსამსახურე იმპერატორის ვილჰელმი I-ისა".

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო ხელ-ახლად ცალკე ნომრებად იყიდებოდეს გაზ. «Петербургскія Вѣдомости» და «Биржевыя Вѣдомости».

22 ივლისი

**მადრიდი.** მინისტრთა საბჭო შეიკრიბა შეერთებულ შტატებისათვის პასუხის შესადგენად. ფი[illegible]რობენ, რომ მთავრობა დასთან[illegible] და კუბის და პორტორიკოს და[illegible] მობაზე და ისპანია-ამერიკის კომი-

სიის დანიშვნაზე, რომელიც შეიკრიბება ლონდონში ზავის ხელ-შეკრულობის დაწვრილებით შესამუშავებლად და ფილიპინის კუნძულებზე მმართველობის დასაწესებლად. ისპანია სთანხმდება აგრეთვე ზღვის სადგურების დათმობაზე, როგორც-კი ანტილის კუნძულებზე მიუვათ ისპანიის ოფიციალური თანხმობა, მიიღებენ ომის შესაწყვეტ ზომებს, მაგრამ აგვინალდოს ყოფა-ქცევა აწუხებს ორივე მთავრობას. საზოგადო აზრით, ზავის ჩამოგდება საქმედ იქცევა აგვისტოს შუა რიცხვებამდე.

**ფრიდრიხსუე.** იმპერატორი და იმპერატრიცა თავიანთი მხლებლებითურთ მობრძანდნენ. მატარებელი გაჩერდა ბისმარკის სახლის ჭისკართან. ბისმარკის ოჯახი მიეგება მათს უდიდებულესობათ ვაგონის გამოსავალთან. იმპერატორმა გადაჰკოცნა გერბერ ბისმარკი, ხელი ჩამოართვა ვილჰელმ ბისმარკს და შევიდა სახლში.

## ალავერდის მომავალი ეპისკოპოსი კირიონი

არხიმანდრიტი კირიონი, რომელსაც ალავერდის ეპისკოპოსობა ებოძა, ჯერ სულ ახალგაზდაა: დაიბადა სოფ. მლეთში 1856 წელს. ბერათ აღკვეცამდე მას ერქვა გიორგი იერონიმის ძე საძაგლიშვილი, დაჯილდოვებული იყო სტატსკი სოვეტნიკის ხარისხით.

სასულიერო სასწავლებელში კურსის დამთავრების შემდეგ გადაყვანილ იქმნა სასულიერო სემინარიაში და როგორც საუკეთესო შეგირდი, სახელმწიფო ხარჯით იქმნა გაგზავნილი კიევის აკადემიაში, სადაც დაამთავრა სწავლა კანდიდატის ხარისხით 1880 წ.; უწმიდესი სინოდის განკარგულებით დანიშნულ იქმნა ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ 1880 წ.; გადმოყვანილ იქმნა 1883 წ- თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ. 1883 წელსვე თელავის მაზრის სამღვდელოებამ აირჩია წევრად და დაავალეს შეედგინა თელავის სასულიერო სასწავლებლის ანგარიში 1875—1884 წ. თელავის წმ. ნინოს ქალების სასწავლებელში ასრულებდა ზედამხედველის თანამდებობას 1884 და 1885 წლ.; ამავე წლებში ასრულებდა ზედამხედველის თანამდებობას თელავის სასულიერო სასწავლებელში. 1885 წ. გადაყვანილ იქმნა ზედამხედველის თანაშემწედ გორის სასულიერო სას[…]ვლებელში. 1886 წ. დანიშნულ […]მნა ბიბლიოთეკების გასაუმჯობესებელ კომიტეტის წევრად. 1890 წ. გადაყვანილ იქმნა ქ. ქუთაისში სასულიერო სასწავლებლის რუსული ენის მასწავლებლად. 1891 წ. დანიშნულ იქმნა ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად. ამავე წელს რუსული ენის მასწავლებლად იქმნა დანიშნული ტფილისის ეპარქიალურ საქალებო სასწავლებელში. 1893 წ. გულმოდგინე სამსახურისათვის და ზემო-ნიქოზის ეკკლესიის განახლებისათვის, უწმიდესი სინოდისაგან ებოძა გრამოტა და ლოცვა-კურთხევა. 1896 წ. დანიშნულ იქმნა წევრად იმ კომიტეტისა, რომელსაც უნდა შეესწორებინა დაბადება. ამავე წლის 2 ნოემბერს აღკვეცილ იქმნა ბერათ და ეწოდა სახელად კირიონი. 3 ნოემბერს აკურთხეს მთავარ-დიაკვნად, 6 ნოემბერს აკურთხეს მღვდელ-მონოზნათ, 15 ნოემბერს დანიშნულ იქმნა ინსპექტორად მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებისა. 1896 წ. აღიყვანეს იღუმენის ხარისხზე და დანიშნეს ქვაბთახევის მონასტრის წინამძღოლად. 22 დეკემბერს დაჯილდოვებულ იქმნა ნაბედრენიკით. 31 დეკემბერს მიეცა ბლაღოჩინობა მონასტრებისა. ამავე წელს საუკეთესო შრომისათვის და მრავალი ისტორიული წერილებისათვის მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოებამ მიიღო თავის წევრად. 1897 წ. მიღებულ იქმნა წევრად ანდრია პირველ-წოდებულის ძმობისა. დანიშნულ იქმნა მართლ-მადიდებელ საზოგადოების წევრად. 1897 წ. დანიშნეს წევრად საეკკლესიო საარხეოლოგიო მუზეუმის კომიტეტისა. 10 მაისს 1898 წ. აღყვანილ იქმნა არხიმანდრიტის ხარისხზე. ამავე წელს არჩეულ იქმნა საეპარქიო სკოლების რჩევის წევრად.

ინსპექტორობის დროს არხიმანდრიტმა კირიონმა საუკუნოდ დაუვიწყარი ღვაწლი გაუწია ჩვენს ქვეყანას. ამ თანამდებობაზე იმსახურა მხოლოდ ცხრამეტი თვე და ამ ხნის განმავლობაში ტფილისის გუბერნიაში აშენდა ყველა იმ სამღვდელოებისათვის ახალი სახლები, რომლებიც მსახურებენ მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ეკკლესიებში და ამ შენობების კომიტეტებში ყველგან თავმჯდომარედ ბძანდებოდა. ამისივე შრომით და მეცადინეობით აშენდა რამდენიმე ეკკლესია გორის მაზრაში. აგრეთვე აშენდნენ ხელ-ახალი სახლები სკოლებისათვის და ზოგიერთებიკი მხოლოდ შეაკეთეს. მ. არხიმანდრიტის შუამდგომლობით სამი ერთ-კლასიანი სასწავლებელი გადაკეთდა ორ-კლასიანებად: ერთი ს. ვანათში (გორის მაზრა), მეორე ს. ვალეში (ახალციხის მაზრა) და მესამე ს. თიანეთში (თიანეთის მაზრა)- სკოლებთან მან დაარსა ბიბლიოტეკები. ზოგიერთა სკოლებს კი თავის საკუთარი ფულით უყიდა წიგნები და ისე დაუარსა ბიბლიოთეკები. დაარსებინა ერთი ახალი სასწავლებელი ს. აწერის ხევში, რომელიც იქმნა გადმოტანილი ს. ედისიდან. მოუმატა მასწავლებლებს ჯამაგირები და დღეს ამათი სკოლების მასწავლებლები წელიწადში იღებენ თვითეული ოცდა თხუთმეტი თუმნიდან ორმოცდა-ათ თუმნამდინ. შეძლების და გვარად მასწავლებლებად გზავნიდა უფრო გამოცდილ და განვითარებულ მასწავლებლებს. იბარებდა მასწავლებლებს ტფილისში საპედაგოგიო კურსებზე დასასწრებლად. თვითონაც წელაწადში ერთხელ გაშინჯვის მაგივრად, სკოლებში წელიწადში რამდენჯერმე მიბრძანდებოდა ხოლმე და მამაშვილურ დარიგებას აძლევდა მასწავლებლებს, რის გამოც ამ ცოტას ხანში ეს სკოლები სრულიად გამოიცვალნენ. აგრეთვე ეცადა ცხინვალში გადმოეტანა საქალებო სასწავლებელი ექვსი კლასის კურსით ვლადიკავკავის ოლქიდან. მისივე დარიგებით რავდენიმე სომეხმა მოიწადინა შეერთება მართლ-მადიდებელ ეკკლესიასთან, რის გამოც რამდენიმემ მიართვა თხოვნები საქართველოს ეგზარხოს ფლაბიანეს. ერთის სიტყვით მ. კრიონი სულ ამ მცირე დროში, ნამოღვაწევი დიახ თვალსაჩინოა. ვისურვებთ ახალმა მღვდელ-მთავარმა ახალს ხარისხზე კიდევ უფრო დიდი სამსახური გაუწიოს თავის ქვეყანას.

მართალაძე

# ახალი ამბავი

—

⁂ ახალი დანიშნულება. დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ ყუბანის ყაზახთა სამხედრო შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი გერშელმანი დანიშნულ იქმნება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორადაო.

⁂ ფოთის პორტში აუზის საწყობის მუშაობის ტეხნიკური ზედამხედველობა, შინაგან საქმეთა და გზათა სამინისტროების შეთანხმებით, მიენდო ფოთის პორტის მუშაობის უფროსს.

⁂ წესები სამღვდელოებისათვის. სხვა და სხვა ეპარქიების სამრევლო სამღვდელოებისათვის გამოიცა წესები საეკკლესიო ადგილ-მამულის იჯარით გაცემისა და მათი მართვა-გამგეობის წეს-რიგის შესახებ.

⁂ ქართული საეკკლესიო წიგნების ბეჭდვა. ჩვენ შევიტყეთ ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი: ქართული საეკკლესიო წიგნები, რომლებიც კარგა ხანია აღარ იშოვებოდა გასასყიდად, ქართლ-კახეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით გადაეცა დასაბეჭდათ ექვთიმე ხელაძის სტამბას, რომელიც უკვე შესდგომია ბეჭდვას და ამ ორ წელიწადში კიდეც დაამზადებს ქართულ საეკკლესიო წიგნებს.

⁂ სახალხო განათლების სამინისტრომ შესაძლებლად სცნო, რომ იმ პირთ, რომელთაც მისაღები ეგზამენი მოეხდინათ, მაგრამ, რომელნიც ადგილის უქონლობის გამო ვერ შესულან საშვალო სასწავლებელში, მიეცეთ, თუ მოისურვებენ, მოწმობა იმ კლასის წინა კლასების კურსის ცოდნის შესახებ, რომელშიაც ეგზამენი აქვთ მოხდილი.

⁂ ნავთის წარმოების გაყიდვა. როგორც გავიგეთ, ამხანაგობას „გასისს“ თავისი ნავთის წარმოება ბაქოში მიუყიდნია პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკისათვის $1\frac{1}{2}$ მილიონ მანეთად.

⁂ ყაჩაღის ჩამოხრჩობა. 13 ივლისს დილით, სოხუმში ჩამოახრჩეს ცნობილი ყაჩაღი მამსირ აბრაგიბ-გაბისონია, რომელმაც თავისი შეპყრობის დროს დასჭრა გუდაუთის განყოფილების უფროსი, პორუჩ. ჩიქოვანი.

⁂ კავკასიის სამრეწველო და ლითონის მწარმოებელი საზოგადოება, რომელიც დააარსეს საფრანგეთის კაპიტალისტებმა, როგორც ისმის, მალე დაიწყებს მოქმედებას.

⁂ იაფ-ფასიანისა და უფასო სასადილოების დაარსება ტფილისში, როგორც გავიგეთ, მალე გადასწყდება.

⁂ კობიაშვილის საქმე. ქალაქის გამგეობამ სთხოვა ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორს, პასუხის გებაში მიეცით აზნაური კობიაშვილი ინჟინერი მუხარინსკის გალახვისთვისაო, და ამასთან წარუდგინა პროკურორს მოწმობა სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის ბ. ნ. სტეფანოვისაგან, რომელიც აღიარებს, მუხარინსკი მძიმედ არის გალახულიო. გარდა სტეფანოვისა, მუხარინსკი გასინჯა ქალაქის ექიმმა ზელინიცკიმ და ამან-კი უარ-ჰყო მუხარინსკის მძიმე გალახულობა. ექიმების აზრის ასეთი სხვა და სხვაობის გამო, პროკურორმა მოსთხოვა ტფილისის პოლიცმეისტერს წარმოადგინეთ გამოძიება კობიაშვილის მიერ მუხარინსკის გალახვის შესახებაო და აგრეთვე გამო-

არკვიეთ ექიმის შემოწმებით, თუ როგორ იმოქმედებს მუხარინსკის ტან-მთელობაზე მისი გალახვაო. („ტფ. ფურ.“).

⁂ **მუშაობა ბაკურიანის რკინის გზაზე.** მიწის მუშაობა ბაკურიანის ვიწრო-ლიანდაგიან რკინის გზაზე, როგორც ისმის, ამ წელშივე დამთავრდება.

⁂ **დაჭრა.** „ნოვ. ობ.“-ეს ქუთაისიდან ატყობინებენ, რომ იქ 18 ივლისს ქალაქის ერთ-ერთ ბაღში თავ. ა. ერისთავმა მძიმედ დასჭრა ბ. დიდიმ ჩიკვაიძე, ძმა ცნობილ კალისტრატე ჩიკვაიძისა.

⁂ **ქურდების ბრბო ქალაქში.** მე-9 განყოფილების პოლიციის მოხელეებმა ამ დღეებში აღმოაჩინეს ქურდების ბრბო, რიცხვით 12 კაცი. მათ უნახეს კლიტეების გასაღები, გასატეხი და სხვა იარაღები. მთელი ბრბო დაატუსაღეს.

⁂ **უკანონო შვილის მაგდების საქმე.** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას გადაეცა განსახილველად ახალციხის მაზრის, სოფ. გურკელის გლეხის ფაქიზა სულიქიზის 25 წლის ქალის საქმე, რომელსაც ბრალდება, რომ მას 26 მაისს 1898 წ. სოფ. გურკელში ეყოლა უკანონო შვილი და თუმცა სირცხვილითა და შიშით აღელვებულს არ მოუკლავს ბავშვი, მაგრამ უპატრონოდ მიაგდო იგი, რის გამო ბალღი გარდაიცვალა.

⁂ **ყაჩაღები ბორჩალოს მაზრაში.** რადგან ბორჩალოს მაზრაში ყაჩაღების ბრბო გაჩნდა, ამის გამო ადგილობრივ მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ მიეცეთ ამ მაზრის საერო დარაჯებს ბერდანის თოფები პატრონებით.

⁂ **მკითხავი დედაბერი ნავთლუღში.** ნავთლუღის ერთ ქუჩაზე ეს რამდენიმე კვირაა დაბინავდა ვიღაც იმერელი 65 წლის ქალი. დილა ადრიდან გვიან საღამომდე, განსაკუთრებით კვირა-უქმობით, მის გვარიანად მორთულ ბინას გარს ახვევია აუარებელი ხალხი, რომელსაც თავის ბედის გაგება მოსწყურებია. ამ ხალხში თქვენ დაინახავთ ყოველგვარი შეძლებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის პირთ, რომელნიც მოუთმენლად მოელიან კარებთან თავიანთ რიგს, მიუხედავად აუტანელი სიცხისა, და სტოვებენ იქ ხშირად სიმწარის ოფლით ნაშოვნ კაპიკს. („ტფ. ფ.“)

⁂ **დ. სუჯუნა** (სამეგრელო). **იარმუკის შესახებ.** ეს ორი წელიწადია, რაც დ. სუჯუნაში მთავრობის ნება-რთვით დაინიშნა ყოველ-წლიური იარმუკობა, რომელიც გასტანს სულ 8 დღეს: 7 ივლისიდამ 15-მდე. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს დრო მეტად უხერხული და შეუფერებელია იარმუკისათვის, რადგან ამ დროს ხალხს ერთი მხრით უფულობა აწუხებს, მეორე მხრით სიცხე და მესამე მხრით კიდევ მოცლა არა აქვს, ყანებში მუშაობს და ყოველივე ამის გამო იარმუკა ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. ვერ იზიდავს ხალხს და, არც ვაჭრობა იმართება ჯეროვანი. იარმუკაზე თავს იყრის უმთავრესად უსაქმო და უდარდელი ხალხი, რომელიც ლოთობასა და ჩხუბში ატარებს დროს. გუშინ-წინაც დასჭრეს რევოლვერით ერთი კაცი (ხოშტარია), რომლის უსიკვდილოდ გადარჩენა საეჭვოა. ჩვენი ფიქრით, ათას წილად უმჯობესი იქნებოდმ, რომ იარმუკა დაენიშნათ 23 აპრილიდან თვის გასვლამდე, რადგან ამ ხანებში აქ გიორგობა იციან, სოფელში ხალხი ბლომად იკრიბება და სხვა მხრითაც ეს დრო ბევრად უკეთესია იარმუკისათვის.

ვ. სუჯუნელი

⁂ **ჯუმათი** (გურია). **ეკკლესიის განახლება.** რადგან შტატის ეკკლესია (ჯუმათის მონასტერი) შორს იყო მრევლისაგან, რომელსაც მეტის-მეტის აღმართების გამო კიდევ უფრო უძნელდებოდათ ეკკლესიაზე წასვლა, გარდაცვალებულმა მღვდელმა ოქ. დ—ჩიამ, რამოდენიმე მრევლის დახმარებით ამ ოცი წლის წინად შუაგულ სოფელში „დღვენაურზე“ ააგო პატარა ხის ეკკლესია—საჯვარე. მთავრობამ რამოდენიმეჯერ მოინდომა ეს საჯვარე გაეშტატებია, მაგრამ მცხოვრებლებმა მრავალის თხოვნა-ვედრებით მთავრობას შტატად ჯუმათის ეკკლესია დაატოვებიეს. მაგრამ მრევლში მალე გაჩნდა დას-დასობა; ცალკე დასი შეადგინა იმ ხუთმა კომლმა, რომლებიც ჯუმათის მონასტრის მახლობლად ცხოვრობენ, და წინ აღუდგნენ საჯვარეს, რომლის გათახსირება მოინდომეს. ამ დას-დასობის მეოხებით ეკკლესია უყურადღებოდ იქმნა მიგდებული და ბოლოს და ბოლოს მთლად დაძველდა და გოხრდა. დიდხანს იყო იგი ასეთ მდგომარეობაში და მხოლოდ ამ წლის დამდეგს გადასწყვიტა მრევლმა მისი განახლება. თავიანთი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა არჩეულ პირებს მიანდო.

— **სიმინდის ფასი.** აქაური ხალხი ამას წინად ერთბაშად გაახარა სიმინდის ფასის აწევამ: ფუთ სიმინდს ყიდდენ 75 კ., მაგრამ საუბედუროდ სიმინდის ფასი ისევ დაეცა ასე, რომ ეხლა ფუთ სიმინდს 30 კ. არავინ ყიდულობს. საბრალო გლეხ-კაცობა მეტათ გულ-ნატკენი დარჩა, რადგანაც ვერ მოასწრეს სიმინდის გაყიდვა: სულ სამი დღის განმავლობაში მოხდა ფასის აწევაც და დაწევაც.

— **აბრეშუმის და სიმინდის მოსავალი.** მეორე იმედათ აქ აბრეშუმის მოსავალი აქვთ, მაგრამ, როდესაც აბრეშუმის ჭიამ უკანასკნელი კანი დაწვა, უცებ დაიჭირა წვიმები და მეტათ ცივი ამინდები. ეს ათი დღეა, რაც კოკისპირული წვიმებია; ყანები, რომელსაც მშვენიერი ფერი დაჰკროდა, სულ ჩაყვითლ-ჩანოყა და შიშმა შეგვიპყრო, ვაი თუ წელს ცოლშვილი შიმშილით დაგვეხოცოსო.

— **გზების უვარგისობა.** ბუნების მოვლენებს რა გაეწყობა, ხოლო სოფლის მამასახლისები რომ ინებებდნენ და გზების გაკეთებას შეუდგებოდნენ, კარგი იქნება. ჯუმათის მამასახლისზე საყვედური არ ითქმის, რადგანაც მან მრავალი მიხლართულ-მოხლართული გზები გააკეთა სოფელში, მაგრამ ერთი უმთავრესი გზა, რომელიც გამოივლის ძიმითიდან ჩოჩხათამდის, ძლიერ გაფუჭებულია, ასე რომ მიმოსვლა ამ გზაზე საძნელოა. გზების უვარგისობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ საზღვარი ძიმითსა და ჩოჩხათს შორის, ორივე მხრით სადავოა.

ლაშისპირელი

⁂ **ს. ბაში** (იმერეთი). **ბორნების უვარგისობა და მებორნეთა უწეს-რიგობა.** ძლიერ ბევრი მგზავრი ეტანება აქაურ ბორანს, რომელიც არის გამართული მდ. რიონზე. ამ ბორანზე შედგომა, მეტად საშიშია, რადგან ბორანი რომ ერთი შექანდეს, მაშინვე უნდა გამოესალმოს მგზავრი სიცოცხლეს, დამპალი თოკი ძლივს იმაგრებს ბორანს, მისადგომებიც მეტად უხერხულათ აქვს წყალში მოწყობილი. გარდა ამისა; ამ ბორანზე არც წეს-რიგია დადგენილი: თუ სხვაგან შაურს ახდევინებენ ცხენიანს და ორ კაპიკს ქვეითს, აქ მებორნეებს როგორც სურთ, ისე ახდევინებენ ფულს: ვისაც რამე უჭირს ან ეჩქარება, მას ხელს მოუჭერენ და სამ შაურს და აბაზს, ხან-კი ორ აბაზსაც აძრობენ ხოლმე. ხოლო თუ ვერ გადაახდევინეს ამდენი, ფეხსაც არ დასძრავენ ადგილიდამ. სასურველია, ამას ყურადღებას მიაქცევდეს, ვისიც ჯერ არს.

— **ამინდება.** აქეთ ხშირათ წვიმს; ამის გამო ცუდ მდგომარეობაშია დაბლობი ადგილები, სადაც სიმინდი არის დათესილი, ვფიქრობ, თუ წვიმამ დიდხანს გასტანა, სიმინდი დალპება და მოსავალი იკლებს. წვიმის გარდა ზენა ქარი უარესს დღეს აყენებს ამწვანებულ ყანებს. ღელვი და ბროწეული წრევანდელმა ყინვებმა სულ ერთიანათ გახმო და მეპატრონეებმა ისინი მთლად გასჩეხეს. კაკალს თუმცა კარგი თვალი უჩნდა, მაგრამ ქარმა სულ ერიანათ დარეკა; სხვა ხეხილებსაც ეს დღე დაადგა.

ბაშელი დიდგულაძე

⁂ **თელავი. პარკის ჩარჩება.** ყველამ კარგათ იცის, რომ წელს დიდ გაჭირვებაშია თელავის მაზრა და ამიტომ ყველა ოჯახობა ეძებს ცხოვრების წყაროს რომლიდანაც ცოტა-ოდენი გამორჩომა მაინც ექნება. გაზაფხულდა თუ არა, ყველა ოჯახობა დაფაცურდა, ეძებდა ჭიის თესლს გასასყიდს, მაგრამ მომეტებულ ნაწილს ფული სადა ჰქონდათ საწყლებს ამისთვის. ამ დროს თელავში მოვიდნენ თათრები ჭიის თესლის დასარიგებლათ სანალოთ. საწყლებმა გლეხებმა გაიგეს თუ არა ამოვიდნენ თელავში და გამოართვეს ჭიის თესლი სანალოთ. თათრებმა დაარიგეს ჭიის თესლი და ახლა სხვაგან წავიდნენ. ავიდა თუ არა ცახზე ჭია, პარკის გასაკეთებლათ, თელავში მოვიდნენ წინანდელი თათრები; ჯერ თავიანთი სანაოთსლო აიღეს და მერე დანარჩენი პარკიც თითონ ჩაიგდეს ხელში ნახევარ ფასათ. ფუთი 10—13 მან. ან კი რა ქნას საწყალმა გლეხკაცმა, თუ ასე არ გაყიდა, მაშინ უნდა მემანჯანიკეს ამოახვევინოს, მემანჯანიკემაც უნდა აიღოს ამოსახვევი და ამოხვეული აბრეშუმი უფრო ნაკლებ უნდა მიჰყიდოს ან თელავის ბაზაზებს და ან სოფლის ჩარჩებს. გლეხი კაცი პარკათ გაყიდვას უფრო ამჯობინებს და ისევ თათრებსა რჩებათ ნახევარ ფასათ.

— **მაზანდა.** თელავში ყველაფრის სიძვირეა: ფქვილი ფუთი სასწორზე ღირს 1 მ. 40 კ.—1 მ. 60 კ. გამომცხვარი პური ღირს 1 ხარისხის 5 კ., 2 ხარ. $3\frac{1}{2}$ და 3 კაპ. კარაქი, ყველა გირვანქა ღირს 20 კ., წინად 15 კ. ღირდა. რიგიანი ერბო გირ. ღირს 35 კ. წინად 25—27 კ. იყო. ხორაგეულიც ძალიან ძვირია. ეს უკანასკნელი იმით აიხსნება, რომ წელს საგარაკოთ ბევრნი არიან მოსულნი, ისინი ფასს სწორედ არც კი ათქმევინებენ და რაც მოხვდებათ მიაჩეჩებენ. ერთი სიტყვით ისეთი სიძვირეა, რომ თუ გაკოტრდება ჩვენი ალა ეხლა, თუ არა, და მერე აღარა უშავს-რა.

თელაველი

⁂ **დ. ახალ-სენაკი. შენიშვნა აქაურ სამკითხველოს.** აქ თავართ-

ქილაძის წიგნის მაღაზიაში მოდის: „ცნ. ფურ.“ „კავკ.“ და „ნოვ. ობ.“, სულ სამი გაზეთი, და ამ მაღაზიას ალბად ამის გამო ეძახიან უფასო სამკითხველოს. არ ვიცი, საზოგადოების მიერ არის ეს სამკითხველო“ დაარსებული, თუ თავართქილაძის ხარჯით! თუ საზოგადოებას დაუარსებია იგი, იმ შემთხვევაში დიდი სირცხვილია სენაკელებისთვის, რომ სამი გაზეთის მეტი არ მოსდით. ამასთანავე ეს გაზეთები ყველა დაბღაჯნილი, მელან-დასხმული და დახეულია; გაზეთი როცა მოვა, იმ დღესვე თუ ვერ წაიკითხე, მერე სენაკში თუ გინდ სულ იძუნძულო, ველარ იშოვნი. როგორც სამკითხველოში, ისე სხვაგანაც, გადაათვალიერებენ თუ არა, გაყიდულ ნივთებს ახვევენ და, გაბილაის თქმისა არ იყოს, ტარანსაც შემოახვევენ და ადვილადაც შეიძლება სხვა გზაც უჩვენონ. ნუ თუ მარტო იმისთვის არის გაზეთი საჭირო, რომ ერთი თვალი გადაავლონ და მერე კი უბრალო ქაღალდის მაგივრად იხმარონ!.. ჩვენის ფიქრით, რიგია, რომ წაკითხული გაზეთები წლის გასულს დაკაზმულ იქმნეს და ინახებოდეს სამკითხველოში.

გურულ-მეგრელი

## რედაქციისაგან

**ოზურგეთში** მ ე ქ ო თ ნ ი ა ს. თქვენი წერილი ჭორებით სავსეა და არც ერთი საბუთი არ მოგყავთ; როცა ვისმე ბრალსა სდებენ და ისიც თანამდებობის კაცს, უთუოდ დასამტკიცებელი საბუთი უნდა ჰქონდეს რედაქციას

**ტფილისში** გიორ. ჭინჭარაძეს. თქვენ სრულებით მართალსა ბრძანებთ, მაგრამ ჩვენი მოამბე იმ მგზავრებზე მოგახსენებთ, რომელნიც ბორჯომიდან თუ მიხეილოვიდან ტფილისს მიდიან და სწორედ მათი გალვიძება არ არის საჭირო, რაკი ბილეთი კარებშივე გაეშინჯება.

**ხურვალეთში** მ ო კ ე თ ე ს. თქვენი წერილის დაბეჭდვა შეუმოკლებლად შეუძლებელია, სხვა რომ არა იყოს-რა, ზომა მეტად დიდია.

## საპედაგოგიო კურსები სამეგრელოში

6 ივლის, მარტვილის ეკკლესიაში გარდაიხადეს პარაკლისი, რომელსაც დაესწრო ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე, სამრევლო სკოლების ზედამხედველი ბ. ჟორდანია თავის თანაშემწეებით და აგრეთვე ყველა მოწოდებული მასწავლებლები, სულ 78 კაცი და ქალი. პარაკლისის შემდეგ ყოვლად სამღვდელო ყველა დამსწრეებით შებრძანდა სკოლაში და მიმართა მასწავლებლებს მოკლე, გრძნობით სავსე სიტყვით და უსურვა, როგორც მასწავლებლებს, აგრეთვე ლექტორებს, ბეჯითობა. კურსების საგნები შემდეგია: ლექციები პედაგოგიურ საგნებზე, რომელსაც კითხულობს ბ. ჟორდანია, ქართული გალობა, რომელსაც გულმოდგინედ ასწავლის ნოტებზე ბ. ქორიძე, რუსული გალობა, რომელსაც ასწავლის ბ. ბენაშვილი, სამეურნეო საგნები: მეფუტკრეობა, რომელსაც ასწავლის ბ. მატარაძე და მეაბრეშუმეობა, რომელსაც ასწავლის ბ. ქუთათელაძე, დასასრულ წიგნების დაკაზმვა. სამაგალითო გაკვეთილებზე მოწვეულია მღ. ი. ბობოხიძე და მასწ. ძიმისტარაშვილი. 7 ივლის პირველი სამაგალითო გაკვეთილი სამღრთო სჯულში მისცა მღ. ბობოხიძემ, უნდა ვსთქვათ, რომ პატივცემულ მასწავლებელს მასალა კარგად შეემუშავებინა და გვარიანად აღასრულა თავისი მოვალეობა, მხოლოდ ნაკლულოვანება იმით გამოიჩინა, რომ ძალიან მალ-მალე გადადიოდა ერთი განყოფილებიდან მეორეზე, რის გამო დრო უთანასწოროდ განაწილდა. განყოფილებათა შორის, გაკვეთილმა თუმცალა მიზანს მიაღწია, მაგრამ უფროს განყოფილებაში იმდენი მასალა გადასცა, რომ ნასწავლი რომ არ ჰქონოდათ, ვგონებ ვერა გზით ვერ მოასწრებდნენ ბავშვები მის შეთვისებას. რაც შეეხება მასწავლებლების მდგომარეობას, ძლიერ გასაჭირია. დღეში ორი საათის მეტი მოსვენება არ აქვთ. სცხოვრობენ ოჯახებში. მარტვილელებმა მათ ვერაფერი მასპინძლობა გაუწიეს, ყველა მცარველის თვალით უცქერის მათ, რაც სხვებისათვის შაური ღირს, იმას ჩვენ აბაზ ნაკლებ არ გვაძლევენ. წარმოიდგინეთ, თვეში თორმეტ მანეთის ნაკლებ ეზოში არ ჩაგვახედეს, მათი მასპინძლობა კი, დიდი-დიდი ხუთი მანეთი ღირდეს. მაგრამ მეტი რა გზაა უნდა დავმორჩილდეთ. კიდევ კარგი, თუ პერანგი მაინც შეგვარჩინეს. თურმე აქაური კაცი, გზა რომ დაგებნეს, თუ ფული არ მიეცი, ისე არ გასწავლის; მედუქნეები ხომ წურბელასავით გვეკიდებიან და თუ რამ მიგვაჩნია ნელ-ნელა გვაცლიან ხელიდან.

გან-უნ

## თეატრის მატიანე

**დ. ხაშური.** ქართული წარმოდგენა. კვირას, 19 ივლისს, ბ-ნ გალუსტოვის თაოსნობით, წარმოდგენილ იქმნა ა. ცაგარლის კომედია „ციმბირელი“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ტფილისიდან მოწვეულნი სცენის-მოყვარენი, წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა და საზოგადოებაც ბლომად დაესწრო. მოთამაშეებმა, მიუხედავად იმისა, რომ რეპეტიციები არა ჰქონოდათ, თავიანთი როლები გვარიანად შეასრულეს; მეტადრე კარგად შეასრულა თავისი როლი ბ-ნმა გალუსტოვმა (მაზუთიანე). ბ-მა ხარისჭირაშვილმაც კარგად დაგვიხატა უსამართლოდ დატანჯული იოვანე (ციმბირელი) და საზოგადოებას სიბრალულის ცრემლები აღვრევინა. სამაგიეროდ საზოგადოება გააცინეს და გაამხიარულეს თავიანთი მოხდენილი თამაშობით ბ.ბ. გ. გიორგიძემ (სტეფან მაკარიჩი) და ხიმშიაშვილმა (კავკაველი პეტუა). ქალებსაც არა უშავდათ-რა, განსაკუთრებით კარგად ითამაშეს ქ.ქ. გალუსტოვისამ (ნარგიზა) და შავლიევისამ (მაშო). მხოლოდ სამწუხარო ის იყო, რომ ყველას ხელს უშლიდა სცენის სივიწროვე და უხერხულობა.

დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი გალუსტოვი, რომელიც ეს რამდენიმე წელიწადია ზაფხულობით გვესტუმრება ხოლმე და საზოგადოებას ნელ-ნელა აჩვევს და აყვარებს ქართულ წარმოდგენებზე სიარულს.

სან-ნარი

## ყურმოკრული საუბარი

მოსწრებული სიტყვა. ქორწილში სუფრაზე ერთს თავში კოჭლი კაცი ზის, მეორე თავში ელამი. კოჭლი არიგებს ხალხს:

— სუფრა იმ თავში ელამია, უფრთხილდით, არაფერი გადაცვივდესო.

— მაგით არაფერი უჭირს, მაგრამ იმ თავში რომ კოჭლია, უფრო ფრთხილად იყავითო,—მიუგო ელამმა.

## სხვა-და-სხვა ამბები

იმპერატორის ვილჰელმისა და ერთი მოკავშირე ხელმწიფის შეტაკება. გერმანეთის გაზეთები გვაუწყებენ, რომ სასტიკი შეტაკება მოხდა გერმანეთის იმპერატორ ვილჰელმსა და გერმანეთის ერთ მოკავშირე ხელმწიფეს შორის, რომელმაც ფრიად თავაზიანის წერილით გაახსენა იმპერატორს: მე იმპერიის კანონების ძალით მონიჭებული მაქვს ზოგიერთი უფლება ჯარის შესახებ, მაგრამ ამ უფლებას მუდამ უმაღლესი სამხედრო მთავრობა მირღვევსო. ამ წერილის პასუხად მოკავშირე ხელმწიფემ მიიღო იმპერატორისაგან შემდეგი მოკლე, მაგრამ ხაკმაოდ მკვახე დეპეშა: „ჩემს გენერალს ბრძანება აქვს მიღებული მისცეს ხოლმე ადგილობრივ ხელმწიფეს მხოლოდ ის, რაც ერგება, და მეტი არაფერი. გთხოვთ ხელი აიღოთ იმ კილოზე, რომელსაც თქვენ მაკადრებთ თქვენს წერილში“. ეს მოკავშირე ხელმწიფე არის გრაფი ერნესტ ლიპე-ბისტერფელდი, მმართველი ლიპე-დეტმოლდის სამთავროსი. იგი სჩიოდა: დეტმოლდის გარნიზონის აფიცრები ჩემს ვაჟებსა და ქალიშვილებს სალამს არ აძლევენო; როცა მე გარნიზონის უფროსი გენერალი მოვიხმე და შენიშვნა მივეცი ამ საგნის გამო, მან მე მაგრძნობინა, რომ მას ბრძანებას აძლევს ჯარის უზენაესი მბრძანებელი, რომელიც ბერლინში სცხოვრობს, და რომ იგი დამოკიდებული არ არის ადგილობრივ ხელმწიფეთაგანაო. აი ამ შეურაცხყოფის გამო მიჰმართა ხელმწიფემ იმპერატორს და მიიღო ზემოდ მოყვანილი პასუხი. ხელმწიფემ თავი შეურაცხყოფილად სცნო: მან ყოველივე აცნობა სხვა მოკავშირე ხელმწიფეებს და მიანდო სამთავროს წარმომადგენელს, წარუდგინე საერო საბჭოს ჩემი საჩივარი იმპერატორზეო. როგორს სახეს მიიღებს საქმე, ეს ჯერ არავინ იცის. აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ იმპერატორსა და ერ. ლიპე-ბისტერფელდს შორის ამ ბოლო დროს დამოკიდებულება ძალიან გამწვავებულია; საქმე ის არის, რომ ერ. ბისტერფელდი არის იმპერატორის სიძის, პრინცის ადოლფ შაუმბერგის, მეტოქე ლიპე-დეტმოლდის სამთავროს ტახტის დამკვიდრების საქმეში, და რომ სამედიატორო სასამართლომ კითხვა ტახტის დამკვიდრების შესახებ ერნ. ბისტერფელდის სასარგებლოდ გადასწყვიტა.


## განცხადებანი

**ისყიდება** სამ-სართულიანი სახლი, ელისავეტის ქუჩაზე, № 8. პირობების შეტყობა შეიძლება იქვე შუაქრიშვილთან.

**КЪ ВОПРОСУ**

**О ПОДНЯТІИ ОБРАЗОВАНІЯ СРЕДИ ГРУЗИНСКАГО ДВОРЯНСТВА**

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს და ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულ მაღაზიას. (6—3)